აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №12

06/10/2020 წელი **ქ. ბათუმი**
15⁰⁰საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, სოფიო კახაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნავა, კახაბერ ჯაიანი, ირაკლი გვარამია, კობა გაბაიძე, რამაზ ფირცხალაიშვილი და დავით ქარცივაძე.

არ ესწრებოდა: დავით ჯინჯოლავა.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ;

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ;

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ.

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს წარუდგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ თითოეულ კანდიდატს განცხადების რეგისტრაციის რიგითობის მიხედვით სახელობითი კენჭისყრით კენჭი ეყრება ცალ-ცალკე, უსკოს წარმომადგენლების არჩევა მოხდება სხდომაზე დამსწრეთა ურავლესობით მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ შემოსული განცხადებების რიგის მიხედვით სახელობით კენჭისყრაზე დააყენა უსკოს წარმომადგენლების არჩევის საკითხი.

კომისიის წევრებმა - №80 ქედის, №82 შუახევის, №83 ხელვაჩაურის და №81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების კანდიდატურებს საკონკურსო დოკუმენტაციის საფუძველზე, განცხადებების რიგის მიხედვით სახელობითი კენჭისყრით, ცალ-ცალკე უყარეს კენჭი.

სახელობითი კენჭისყრის შედეგად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებად არჩეული იქნენ:

№80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიაში - ხათუნა აბულაძე;
№82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიაში - დავით ზოსიძე;
№83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიაში - ქეთევან ჯიშკარიანი;
№81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში - მანონი შავიშვილი.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები თან ერთვის (იხ. დანართი).

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ[2]“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებსა და მათ შემადგენლობაში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიებში:

ა) აბულაძე ხათუნა №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისია;

ბ) ზოსიძე დავით №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისია;

გ) ჯიშკარიანი ქეთევანი №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისია;

დ) შავიშვილი მანონი №81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისია.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით არჩეული უსკოს წარმომადგენლების დაფინანსების ოდენობა, უფლებამოსილებები და ვალდებულებები განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 25 სექტემბრის №27 განკარგულების შესაბამისად.

3. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (ნესტან ნაკაშიძე), უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებზე სათანადო მოწმობების გაცემა.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	11;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის

არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები თანდართული ნიმუშების შესაბამისად:

ა) საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელი;

ბ) საარჩევნო ბიულეტენი პროპორციული სისტემით არჩევნებისათვის;

გ) საარჩევნო ბიულეტენი მაჟორიტარული სისტემით არჩევნებისათვის

დ) საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი A2 ფორმატი, (საოლქო პროპორციული);

ე) საოლქო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების სადემონსტრაციო ოქმი A2 ფორმატი, (საოლქო მაჟორიტარული);

ვ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი A2 ფორმატი, (საუბნო პროპორციული);

ზ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი A2 ფორმატი, (საუბნო მაჟორიტარული);

თ) საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო პროპორციული);

ი) საოლქო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო მაჟორიტარული);

კ) საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო პროპორციული);

ლ) საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო მაჟორიტარული);

მ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი;

ნ) საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი;

ო) საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი;

პ) საუბნო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**